სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

5. ჯავახიშვილის ქ.
ქუთაისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

18 / ნოემბერი / 2024 წ.

KA021724668140524

№ 13/66375

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ ორღულის საჯარო სკოლას

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დასავლეთ საქართველოს რეგიონულმა დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 22.10.2024 წ. №MES1240001363061 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი საჯარო სკოლაში არსებული 50.45 და 145.65 კვ.მ ფართების იჯარის ფორმით გაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტი, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში არ არის წინააღმდეგი, აუქციონის წესით იჯარით გაიცეს თქვენს წერილში მითითებული ფართი, იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნული ქონება სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ ორღულის საჯარო სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს კანონით დადგენილი წესით და იმ პირობით, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 (ორი) კვირის ვადაში გაუქმებული იქნება საიჯარო ხელშეკრულება, რაც უნდა წარმოადგენდეს სკოლის მიერ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების აუცილებელ პირობას.

ამასთან, სარგებლობის საფასური უნდა განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესი“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის № 570 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების შესაბამისად.

ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ ორღულის საჯარო სკოლის მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

დასავლეთ საქართველოს რეგიონული
დეპარტამენტის უფროსი

ELEC. - NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY
№1
205 005 910

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ვახტანგი ერემეიშვილი